



**გზავნილები მომავლიდან**  
**ПОСЛАНИЯ ИЗ БУДУЩЕГО**



თათია ზუხბაია  
ლანა ოკუჯავა  
ცირა ჯობავა  
ეკა ძელიძე  
კრისტინა პახოშოვა  
ნათიკო ოკუჯავა  
შიო კანდორელაშვილი  
მარიეტა კოლბაია  
დაჩი ახვლედიანი

ТАТИЯ ЗУХБАЯ  
ЛАНА ОКУДЖАВА  
ЦИРА ДЖОБАВА  
ЕКА ЧЕЛИДЗЕ  
КРИСТИНА ПАХОМОВА  
НАТИКО ОКУДЖАВА  
ШИО КАНДОРЕЛАШВИЛИ  
МАРИЕТТА КОЛБАЯ  
ДАЧИ АХВЛЕДИАНИ

გზავნილები მომავლიდან  
ПОСЛАНИЯ ИЗ БУДУЩЕГО

თბილისი 2015



წიგნი გამოიცა საქართველოს  
კულტურისა და ძეგლთა დაცვის  
სამინისტროს მხარდაჭერით

პროექტის ავტორი და რედაქტორი

სალომე კახანაძე

სარედაქციო საბჭო

თემურ ძორიძე  
ნონა შონია  
ნანა ჭანტუშია  
ინლირა კახანია  
მანანა მალრაძე  
მარინე მარკოზაშვილი

მთარგმნელი

ნანა ბაბუღავა

დიზაინერი

ალექო კუხანაშვილი

გარეკანზე – თათია დოლიძის ნახატი „ერთად მზისკენ“

წიგნში გამოყენებულია თათია ზუხბაიას მიერ  
აფხაზეთში გადაღებული ფოტოები

ISBN 978-9941-9367-2-2

დროს აქვს თვისება განკურნოს ტკივილი, მაგრამ მას არ შეუძლია უწამლოს მიზეზს, რომელიც მას წარმოშობს. ადამის მოდგმას ხომ დაბადებიდანვე დაჰყვება ნიჭი იყოს შემოქმედი კეთილისა და ავისა...

მაგრამ დროს აქვს უნარი, მეხსიერების ქაოსიდან შექმნას კოსმოსი და მისივე კანონზომიერებით დაალაგოს მოვლენები ადამიანთა ცნობიერებაში. ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს ბევრი რამ გვაქვს დასალაგებელი და ეს არ არის პოლიტიკა, ეს ადამიანური ურთიერთობების ის შუქ-ჩრდილებია, ამ წიგნის ახალგაზრდა ავტორების სენსიტიურ სტრიქონებს შორის რომ გამოკრთება და კიდევ ერთხელ შეგვახსენებს იმ პასუხისმგებლობას, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტრაგიკულმა მატინამ რომ დაგვაკისრა. მძიმეა ჩემი თაობის ხვედრი – პოლიტიკური ავანტიურისტების მიერ თავს დატეხილი უნდობლობის, გაუგებრობის, სიძულვილის ნანგრევებიდან უნდა ამოვიყვანოთ ნემეზიდას მახვილს გადარჩენილი მონატრება და სიყვარული. დრომ მოიტანა და ახლა შვილები შეგვეხიდებიან ამ საქმეში. ჩვენ ხომ არაერთხელ მოგვიყოლია მათთვის, როგორ უყვარდათ სოხუმსა და ცხინვალში. ეს წიგნი შვილების მოკრძალებული, მაგრამ მნიშვნელოვანი წვლილია ამ საქმეში და სხვა მრავალიც უსათუოდ იქნება...

სალომე კაპანაძე

## მე მოვედი შენთან

თათია ზუხბაია

ახლა ვცდილობ გავიხსენო, თბილა თუ ცივა, ნაცრისფერია თუ ნათელი... ვცდილობ, გავიხსენო ამინდი, რომელიც „ენგურის“ ხი-  
დამდე მემგზავრება ხოლმე

ჰო, ალბათ ციოდა, ცხელოდა, წვიმდა და მდინარე ენგურიც ბობ-  
ოქრობდა, თოვდა კიდეც, ჰო, ალბათ ხიდის შუა ნაწილში სწორედ  
მაშინ, როცა უარი ვუთხარი კარგად ცნობილი ტრანსპორტის მე-  
გრელ „მძღოლს“, რომელსაც გულით ეცოდება ქანცმილეული ცხენ-  
ები ყოველი მარშრუტის: „ენგურის გაღმიდან გამოღმამდე“ გავლის  
შემდგომ. სოხუმში ადრეც ვყოფილვარ. უამრავჯერ დავმგზავრები-  
ვარ საკუთარ ფიქრებს, ჩემს ვირტუალურ ექსკურსში მე დევნილი  
არასოდეს ვყოფილვარ, აქ ყოველთვის შემეძლო პალმების ხეივანში  
დავკარგულიყავი, ხარბად მესუნთქა აფხაზეთის ჰაერი აფხაზურ პაე-  
მანშივე დამეგემოვნებინა სანაპიროს ბულვარში მოხარშული ყავა...

მოკლედ, მე აქ ყველაფერი შემეძლო. ამიტომაც ვფიქრობდი,  
ვფიქრობდი ხშირად.

ფიქრი პირველად 2013 წლის ზაფხულში შევწყვიტე. მაშინ, როცა  
აბსტრაქტულს კონკრეტული შემოეპარა, როცა ვირტუალურ სამ-  
ყაროს საბოლოოდ დავემშვიდობე.

თუმცა რაღა საბოლოოდ...

ვინც ერთხელ მაინც ყოფილა გალში, აუცილებლად მოხვდებოდა  
მისი სადგურის მოედანზე, ჩვენი ცისფერი „ვოლგაც“ ამ სადგურზე  
იდგა.

ტაქსის მძღოლი ადგილობრივი იყო, ბევრი ლაპარაკი უყვარდა,  
დაკოჟრილ თითებზე ეტყობოდა მშრომელი ადამიანი რომ იყო. გა-  
მიკვირდა, როცა მამამ გაანდო, სოხუმში მისი ცნობისმოყვარე ქალ-  
იშვილის ინტერესის დასაკმაყოფილებლად რომ მივდიოდით. ისიც  
კი უთხრა – ჟურნალისტიანო, ამას ხომ ყოველთვის საგულდაგულოდ  
ვმაღავდით, ეს ისე – ყოველი შემთხვევისთვის...

---

ნაცრისფერი ქალაქის აყრილი ტროტუარები, გეზი გალიდან რომ აიღეს და შემდეგი რამდენიმე სოფელი გაერთიანეს, ერთბაშად ქმნიდნენ უხერხულობას და ანახლებდნენ. „მომნატრების“ შეგრძნებას. თუმცა სოხუმამდე არმისული გზა საგრძნობლად გამოსწორდა, ამიტომ ახლა თავისუფლად შემეძლო თავი ფანჯრიდან გამომეყო და უყურადღებოდ არც ერთი დეტალი არ დამეტოვებინა. რამდენიმე წუთში ვოლგას მარცხნიდან შავი ზღვის უკიდევანო, ლურჯზე ლურჯი ჰორიზონტი დაემგზავრა, მერე ციტრუსების ხეივანს ავუყევით და როცა პალმის ხეებმა თავი მოიხშირეს, მივხვდი, სოხუმში ვიყავით.

ვოლგა ნელა მოძრაობდა, მძლოლმაც საუბარს უკლო, მამას მხოლოდ მაშინ გამოეპასუხა – როცა ორივე მონდომებით ცდილობდა, ძველი ნაგებობის არქიტექტურაში შეჭრილი „უადგილო“ ფერის მქონე ის შენობა ენახათ, რომელშიც წლების წინ მამა სტუდენტი იყო. შემდეგმა რამდენიმე წუთმა ჩემი მშობლების წარსული ცხოვრება ფრაგმენტებად აკინძა,

იმ ქუჩის მოპირდაპირე ქუჩაზე პაპასქირები ცხოვრობდნენ, ამ ჯიხურთან მამას ავარია მოუვიდა და პირველად აქ დაამტვრია მელნისფერი „ჟიგული“, აი, აქ ხომ რესტორანი იდგა? „ვოლგის“ მეპატრონე, თქვენ ხომ არ იცით, რა მოუვიდა ამ შენობას, მამაჩემი ხშირად რომ სტუმრობდა. სინამდვილეში ძალიან არ შიოდა, რესტორნის სლავი მოსამსახურე პერსონალისკენ გაურბოდა თავალი. თუმცა არ გავუბრაზდეთ, დედა ხომ ამ კორპუსში მის კლასელ გოგონასთან ერთად ჯერ საცხოვრებლად არ გადმოსულიყო. ოო... ერთი ამას დამიხედეთ, ეს კაცი ცოცხალია, ისევ აქ არის და ამ „ჟანგისფერ სივრცეში“ თმებს აჭრის ხალხს. თვითონ თმა არ ჰქონდა და საგულდაგულოდ პარიკით იფარავდა ხოლმე სლიპინა თავს. ბუნებრივია, ეს თმა ახლაც არ არის მისი, მაგრამ მომეჩვენა, რომ ამჯერად ბევრად ბუნებრივად გამოიყურებოდა.

როცა მანქანამ შავი ზღვის ლურჯზე ლურჯი ჰორიზონტი უკან მოიტოვა, ჩრდილოეთით, სადღაც მზესთან ახლოს, აგურით ნაგები ორსართულიანი სახლი გამოჩნდა. აი, ამ სახლში კი ჩვენ ვცხოვ-

რობდით, ... მანქანაში ჩემს ზურგს უკან, სადღაც შორიდან მომესმა მამაკაცის ხრინიანი ხმა და როცა მოვბრუნდი, ნაოჭებში ჩაფლული მამაჩემის მწვანე თვალებს გადავანყედი. ბევრი რამის თქმა მინდოდა, მაგრამ ყელში გაჩხერილმა გაურკვეველი შემადგენლობის ბურთის მასამ დამადუნა, ცისფერი, „ვოლგა“ კი ისევ ნელი სვლით მიუყვებოდა სოხუმის ქუჩებს.

\* \* \*

თამუნა ჩემი მეგობარია. ერთმანეთი თბილისში, უნივერსიტეტში გავიცანით, მოკლედ, ჯგუფელები ვართ. ისიც აფხაზეთიდანაა, ბეზია აფხაზი ჰყავს, დანყებითი კლასის მასწავლებელია და დღემდე საუკეთესო პედაგოგად ითვლება. ახლა მე სწორედ მისი სტუმარი ვარ, ორივენი კი – აფხაზეთის, „სტუმრები“...

ქალაქი სრულყოფილად რომ აღმექვა, ტურისტულ კომპანიას მივაშურე და სასურველი მარშრუტები მოვინიშნე. გასვლა დილის 7 საათზე, ძველი დროით, ბარათაშვილის ქუჩიდან მოხდებოდა და მე წინ მთელი დღე მქონდა. შემეძლო სხეული ზღვის სანაპიროზე მზისთვის მიმეშვირა. ჩემ გვერდით იმავე განზრახვით, რუსები, სომხები, უკრაინელები ესტონელები წამოგორებულიყვნენ. სტაფილოსფერ ცხელ გიგანტს აზრადაც არ მოსვლია „სტუმარ-მასპინძელი“ გამოერკვია, სხივებს თანაბრად გვინანილებდა და ჩვენც ხარბად ვისრუტავდით მის ფერთა გამას.

დილით მალვიძარას არ დაურეკავს, მე დავასწარი და ბოტანიკური ბაღის გავლით დანიშნულების ადგილამდე მივედი. ჩვენი გიდი 25 ან იქნებ 27 წლის აფხაზი ბიჭი იყო, კოხტა, მოხდენილი სხეული ჰქონდა, სპორტული ელემენტებით გაჯერებული კლასიკური სამოსი ეცვა, ხშირად ილიმოდა და გაგიჭირდებოდა იმაზე ფიქრი, რომ ეს მისი სამსახურეობრივი იმიჯი იყო. მან ჯენტლმენურად გამომართვა ზურგჩანთა და მიკროვტობუსის წინა სავარძელზე მოათავსა, რითაც მისი სურვილი მენიშნა, მასთან ახლოს უნდა დავმჯდარიყავი.

მარშრუტის დასაწყისში მისი ყოველი რეპლიკა თუ მიმიკა იძლეო-

---

და გონივრული ეჭვის საბაზს მომჩვენებოდა, რომ მე მას მოვწონდი და მეპრანჭებოდა, თუმცა მანქანის დაძვრამდე ჩემს მეგობართან უნებურად წამოცდენილმა ქართულმა სიტყვამ მას ჩემდამი ყოველგვარი ინტერესი გაუქრო, ფლირტი დასრულდა, თუმცა მისი მზერის ობიექტად კვლავ მე ვრჩებოდი. ამჯერად უნდოდა თვალის ცისფერი გუგა ჩემთვის გაესწორებინა და დარწმუნებულიყო იმაში, რომ ყველა ჩემი რეცეპტორი მზად იყო მოესმინა მეზობელი საქართველოს მიერ „სამოთხის მიწის დასაკუთრების მცდელობის შესახებ“...

მგზავრობის დასრულების შემდეგ, შეთანხმებისამებრ, ის ვალდებული იყო იმ ადგილამდე მივეყვანე, საიდანაც ჩვენმა მარშრუტმა სტარტი აიღო, თუმცა მან ეს არ ისურვა, მანქანა გზაში გააჩერა, ჩამომსვა და მითხრა: „иди прямо“.. დამოუკიდებლად პირველად ასე გავიკვლე გზა სოხუმში...

ამბობენ, რომ წყენა გაბოროტებს, მაგრამ მე მხოლოდ გამაძლიერა. ჩემს მეგობარს გულწფელად გავუზიარე ჩემი „მუქარა“ ის ბიჭი თბილისში რომ ჩამოვიდეს, იცი, თამუნა, რას ვიზამ?!... ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რომ მას კარგი შთაბეჭდილებები გამოვავლო...

ჩემი „მუქარა“ სანაპიროს მოედო. საღამოს თამუნას ბებიას უცნობი ადამიანები დაუკავშირდნენ, აფხაზი გიდის აფხაზმა დედ-მამამ სტუმარ გოგონას ბოდიში შემოუთვალეს...

მერე იყო მზიანი დილა, ლურჯზე-ლურჯი ზღვა, მერე იყო ოქროსფერ ქვიშაში რამდენიმე საათით ჩაფლული ცხელი სხეული, მერე იყო გულიანი სიცილი, ეს ბევრჯერ იყო..

მერე იყო რესტორან „ამრაში“ აჭარული ხაჭაპურის ცხიმ-იან ზედაპირზე მოცურავე კვერცხის ცილებში ჩაცურებული ცომის ნაჭრები, უდარდელად რომ მიედინებოდნენ საყლაპავი მილისკენ. მერე იყო აფხაზ ბიძებთან ნარდის თამაში, სანაპიროს სიახლოვეს მიწიდან პანანინა პალმების ამოჩიქნის მცდელობა, მერე იყო ტანსაცმლის უბეში ზღვის ნიჟარების თავშეყრა, სველ ქვიშაზე ამოტივტივებული „ს ო ხ უ მ ი“ – აფხაზის ძლიერი მკლავით გამოკვეთილი „ს ო ხ უ მ ი“ მერე იყო გულიანი სიცილი, ხომ



გითხარით, ეს ბევრჯერ იყო-მეთქი?!

მერე ისევ ის ცისფერი „ვოლგა“ იყო, ისევ ის აყრილი ტროტუარები, ნაოჭებში ჩაფლული მამაჩემის მწვანე თვალები და სახლი, ოდესღაც ჩვენ რომ ვცხოვრობდით...

მერე იყო ენგურის ხიდი. გზა, რომელიც გინდა, რომ დაუსრულებლად გეჩვენებოდეს...

მერე ბევრი რამ მოხდა, ბევრიც მოხდება – მე ასე მჯერა. მჯერა, რომ ლურჯზე ლურჯი ზღვის სანაპიროზე, აი, მაშინ, როცა ღიმილის გაცვლას დავაპირებთ, ხმამაღლა ვიტყვი:

მე მოვედი შენთან, აფხაზო?!...

---

## ჰეკეზ მზეს

### ლანა ოყუჯავა

თქვენ გინახავთ სასწაული? აი, მე მინახავს ეს იყო მაშინ, როცა ყველას ერთმანეთი გვიყვარდა, როცა აფხაზეთი ჩვენი სულის და სხეულის ნაწილი იყო.

ზაფხულის ცხელი დღე იყო. ირგვლივ მხოლოდ ბედნიერ სახეებს შეამჩნევდით. მაშინ, არავინ ლაპარაკობდა სიძულვილზე, მონატრებაზე, ერთმანეთის ბრალდებაზე...

ზღვაც ისეთი ლალი იყო... თამამად მოიქნევედა ხოლმე ტალღებს და ამაყად ენარცხებოდა სანაპიროზე მყოფთ. თითქოს ეუბნებოდა, შემომხედეთ, ეს მე ვარ ასეთი თამამი, მშვენიერი და უნდა გიხაროდეთ, რომ მე ვარსებობ თქვენი ბედნიერებისთვისო. მართლაც რომ საოცრება იყო სოხუმის ზღვა... ვუყურებდი და მინდოდა მას დავმსგავსებოდი. მასსავით თავისუფალი, მომწუსხველი ვყოფილიყავი და რაც მთავარია, ადამიანებისთვის სიხარული მომეტანა. საღამო ჟამს დიდი სილამაზის მომსწრე ვხდებოდი. ეს სასწაული იყო, სასწაული, რომელიც მეგობრების სიყვარულს წააგავდა. დიდრონი დისკო ნელ-ნელა, ღიმილით მიიწევდა ზღვისკენ და თვალებს ვნებიანად ნაბავდა. სულ ცოტაც და ისინი ერთ დიდ მთლიანობად გარდაიქმნებოდნენ.

– დამთავრდა... მოწყენილი ხმით წარმოთქვა ვილაცამ, მოულოდნელობისგან დაბნეულმა მოვიხედე. ჩემ გვერდით გოგონა იდგა, ხუჭუჭა თმით, დიდრონი ლურჯი თვალებით. სახეზე ჭორფლები – მზის გზავნილები უხვად მიმოხნოდა.

მე გაოცებით შევაცქერდი გოგონას, რომელიც შორს, ჰორიზონტისკენ იყურებოდა. არაფერი მითქვამს. ის კი აგრძელებდა: ეს დღეც დასრულდა, მათ ისევ ერთად დაიძინეს, – სრული დამაჯერებლობით გამოთქვა მან თავისი აზრი და მერე მე მომიბრუნდა: შენც გიყვარს ისინი? შენც მოდიხარ ხოლმე მზის ჩასვლის სანახავად?

ვუპასუხე, რომ მიყვარს, თუმცა არც ისე ხშირად ვუყურებდი მათ იდლიას. მას გაეღიმა და მითხრა, რომ არც ერთი საღამო არ

ახსოვს მათ გარეშე, რომ ეს ყველაზე დიდი სას-წაულია, რომელსაც ყველა ხედავს, მაგრამ ერთეულები ამჩნევენ. გავოცდი, თითქოს მასში ჩემი ნაწილი დავინახე. იმ დღის მერე დავმეგობრდით და ერთი მთლიანობა გავხდით, როგორც ამაყი ზღვა და კეკლუცი მზე. ჩვენი შეხვედრის ადგილი სოხუმის ზღვის სანაპირო იყო. ყველაზე ლამაზი დღეები გავატარეთ ერთად. მზის ჩასვლასაც ერთად ვუყურებდით. შემდეგ იწყებოდა აფხაზურის გაკვეთილები. ესმა აფხაზი იყო... ღმერთმა მისი თავი საჩუქრად გამომიგზავნა. მისგან ბევრი რამ ვისწავლე. ესმასგან გავიგე ისიც, რომ ზღვა ზამთარში უფრო მშვენიერია, ვიდრე ზაფხულში. გამიკვირდა, ეს როგორ-მეთქი, მან მიპასუხა: – აბა, დაფიქრდი, ზაფხულში ზღვა ყველას უყვარს, სიამოვნებას გვანიჭებს და ვერთობით მისით. აი, ზამთარში კი ყველასგან მიტოვებული და იმედგაცრუებული მწუხარებით მისაკდება ხოლმე ნაპირს. შენ რა გგონია, მას არა აქვს გული? მასაც აქვს, თან ძალიან დიდი. სწორედ ის გული, სადაც კაშკაშა მზე სიყვარულით ჩაესვენება ხოლმე.

ვუყურებდი ესმას და ვხვდებოდი, რომ ის გრძნობდა იმას, რასაც ბევრი ჩვენთაგანი ვერ ახერხებდა. ზამთარში უფრო მიყვარს ზღვა, მაშინ ვხედავ მის რეალურ სახეს, ნალველსა თუ სიხარულს. ამიტომ მგონია, რომ მარტო მე ვიცნობ ზღვას, ახლა შენც გაიცნობო, – სჯეროდა ესმას. ხან მე შემომხედავდა, ხანაც – ზღვას. შენ ხომ გჯერა მზისა და ზღვის ერთობისო, ჩამეკითხებოდა და მე თანხმობის ნიშნად თავს ვუქნევდი. გინდა ჩვენც მათ დავემსგავსოთ – მკითხა ერთხელ და მე თანხმობა მივეცი. ამ წუთიდან მე ვარ ზღვა, – თვალეზგაბრწყინებულმა შემომცინა, მართლაც ზღვას უგავდა თვალეზი, შენ კი – მზე. ალბათ ჩემმა წითურმა თმებმა აიძულა ასე ეფიქრა.

მალე სოხუმში ომმა შემოაღო. იმ დღის შემდეგ ჩვენ ერთმანეთი არ გვინახავს. მას შემდეგ ბევრი რამ გამოვიარე, ომმა ძალიან გვატყინა, ნახევარი სიცოცხლე დაგვაკარგინა, ჩემთვის ეს, „სიცოცხლე“ აფხაზეთში დარჩენილი ჩემი ესმა იყო, ჩემი, „ზღვა“.

მას შემდეგ ბევრმა უხალისო წლებმა ჩაიარა. ახლა მხოლოდ

---

სიზმარში თუ ვნახულობდი იმ სასნაულს, რომელიც წლების წინ ჩემს მინა-წყალზე აღმოვაჩინე. მე ესმა დავეკარგე.

წლები გავიდა, თუმცა დრომ ვერ მომიშუშა მისი დაკარგვით გამონწვეული ქრილობები. მე არ ვიყავი, „მზე“, „ზღვის“ გარეშე.

და როცა დიდი ხნის წვალების შემდეგ, ჩემს კუთხეში – აფხაზეთში აღმოვჩნდი... თავი ვერ შევიკავე, ცრემლებმა დამისერა სახე... არ ვიცი ეს ბედნიერების ცრემლი იყო თუ იმ ტკივილისა და განშორების, რომელიც ომმა დაგვიტოვა წლების წინ. ირგვლივ ავისმომასწავლებელი სინყნარე იყო... ეს აღარ იყო ის ბედნიერი და ხმაურიანი სოხუმი, როგორც წლების წინ. მას თითქოს უბედურების მანტია შემოესხა და ვერავინ ბედავდა მის გახდას. სიხარული და ტკივილი ერთდროულად დაიბადა ჩემში. გახარებული ვიყავი იმით, რომ ისევ ჩემს მინაზე მედგა ფეხი, მაგრამ მტკიოდა მისი გაუცხოება. ცოტა ხანში ფიქრებისგან გავთავისუფლდი და ჩემი გეგმის განსახორციელებლად წავედი. მე, „ზღვა“ უნდა მეპოვა... ვის აღარ ვკითხე, სად აღარ მივედი, მაგრამ ესმას კვალს ვერ მივაგენი. ამასობაში მოსალამოვდა და დათრგუნული მივედი სანაპიროსთან, რათა მზისა და ზღვის მეგობრობის საკრალური სცენა მენახა. მომეჩვენა, რომ აღარც ისინი ჰგავდნენ მეგობრებს და მზე ჩავიდა მხოლოდ იმიტომ, რომ უნდა ჩასულიყო. როდესაც უკან ვბრუნდებოდი, ერთმა აზრმა გამიელვა თავში. იქვე მდგარ დანგრეული შენობასთან მივედი და კედელზე დიდი ასოებით წავანერე, „მე ვეძებ ზღვას“. არ ვიცი, რისი იმედი მქონდა...

თბილისში მიმავალი კვლავ ესმაზე ვფიქრობდი.

ჩამოსვლისთანავე ერთი ნაცნობი ვნახე, რომელმაც მითხრა, რომ ვილაც გოგონა მეძებდა, მხოლოდ სახელი ვერ გაიხსენა. მერე მისი აღწერა ვთხოვე, გავოგნდი, ძალიან ჰგავდა ესმას. მერე ეს აზრი თავიდან ამოვიგდე, შეუძლებელი იყო, ის აქ ჩამოსულიყო, შეუძლებელი...

ისევ ჩავეჯექი ტრანსპორტში. არც კი გამიგია სახლს როგორ ვუახლოვდებოდი. შემთხვევით ფანჯარაში გავიხედე და საკუთარ თვალებს არ დავუჯერე. გონზე მოსასვლელად ხელზე ვიჩქმიტე,

მერე ჩემ გვერდით მჯდომს ვკითხე:

- უკაცრავად, კედელზე, აი, აი იმ წარწერას თქვენც ხედავთ?
- რას? - გაუკვირდა მას.,
- „მე ვეძებ მზეს“

- მგზავრი გაოცებულ მზერას არ მაშორებდა. მას არაფერი დაუნახავს, მაგრამ ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რადგან ახლა ჩემთვის მხოლოდ ის წარწერა არსებობდა ქვეყნიერებაზე, „მე ვეძებ მზეს“!

---

## ვიდრე თოთხმეტის გავხდები

ცირა ჯობავა

საოცრად მშვიდი ღამეა. ცა ვარსკვლავებით მოჭედილა, მთვარე კეკლუცი პატარძალივით პირდაპირ ფანჯარას მოადგა და თითქოს ჩემს სულში შეიჭყიტა.

უკვე შუაღამეა, არ მეძინება...

რალაც უხილავი ძალა არ მაძინებს, ფიქრებს მინუნავს, სულს მიფორიაქებს...

ან კი რა დამაძინებს? ზეგ ჩემი დაბადების დღეა, თოთხმეტის გავხდები. ხვალ ზუგდიდს მივდივარ. დედის პასპორტში ჩანერილს მხოლოდ ხვალ შემიძლია მდინარე ენგურზე გადასვლა, როგორც კი თოთხმეტის გავხდები, ეს გადასვლა შემეზღუდება. ხვალ კიდევე ერთხელ შევიგრძნობ თავისუფლების გემოს, მშობლიური ენის სიტკბოს, კიდევე ერთხელ გავლადები, გავთამამდები, თავანუელი ამაყად დავივლი ზუგდიდის ქუჩებს და მოვიკლავ წყურვილს დედის ძუძუსავით ტკბილი და თბილი, ეგზომ მონატრებული მშობლიური ენის... ამ ყველაფრის მოლოდინი, ამდენი განცდა ძაფზე აცმული ლამაზი მძივებივით რკალად შემოევლო ჩიტის მართვესავით აფართხალეზულ ჩემს გულს და ძილის ნება არ მომცა.

მინც თავს ძალას ვატან, მინდა დავიძინო.

ასამდე ვითვლი, მაგრამ არც ეს მშველის.

აღბათ გამთენიისას ჩამეძინება.

ვაითუ, დილით ვერ გავიღვიძო და დედამ დამტოვოს.

რიჟრაჟზე ძილ-ზურანში ჩამესმის მისი თბილი ხმა:

– ცირა, ადექი, დაგვაგვიანდება, ვინ იცის, საზღვართან რამხელა რიგი იქნება და უკან მობრუნებას ვერ მოვასწრებთ.

და აი, ვდგავართ რომელიღაც შორეული ქალაქიდან ჩამოსული რუსი ჯარისკაცის წინაშე, მდინარე ენგურთან, იქ, სადაც ინყება ზღვარი მონობასა და თავისუფლებას შორის. ვდგავართ გულის ფანცქალით, შარი რომ არ მოგვდონ, საბუთები არ დაგვინუნონ და

უკან არ დაგვაბრუნონ.

– ნეტა ამ დილით ხასიათზე თუ არიან? – კითხულობს რიგში დგომით უზომოდ დაღლილი ერთი გალეელი. მეორე თავისთვის ჩუმად ბურტყუნებს რუსების აუგს. იქვე მდგომი ქალი კი თვალებით ანიშნებს, არიქა, არ მიხვდეს რასაც ამბობ, თორემ საერთოდ არ გაგვიშვებენო.

ერთმა მოხუცმა გაბედა, ამდენი ლოდინით დაღლილმა და არაქათგამოცლილმა რკინის მძიმე კარი შეაღო, რომელზეც საცოდავად იყო მიყრდნობილი.

– გამიშვი, შვილო, უკვე აღარ შემიძლია ფეხზე დგომა.

სისხლის გამყინავი ხმა მოისმა:

– Стой, вообще не пушу!

– Стойте там тихо, какие вы некультурные люди, не шумите!..

ამ სიტყვებით უცხო ქვეყნის ჯარისკაცმა კარი მძიმედ ჩარაზა და არხეინად დაიწყო სიარული წინ და უკან, ვითომც აქ არაფერო.

ამასობაში ერთი ხანდაზმული ქალი იქვე ქვაზე ჩამოჯდა, მეორემ სიცივისგან მოკრუნჩხული ხელ-ფეხის ზელა დაიწყო, მესამემ – წამალი უწყლოდ გადაყლაპა...

გაუსაძლისი გახდა ლოდინი...

გალახული ძალღივით ვდგავარ ერთ ადგილზე, გულზე ენით აუწერელი ტკივილი მანვება, ჩემთვის გულში ვიმეორებ:, „გარეული მოვიდა, შინაური გააგდო“,

დედამ შემომხედა, მიხვდა ჩემს გასაჭირს და მიჩურჩულა, ქართული არ წამოგცდეს, თორემ შავ დღეს დაგვაყრიანო. თვალებით ვანიშნე, რომ არაფრის შიში არ ჰქონოდა:

„არა, დედი, ამას როგორ ვიზამ, მე ხომ გულში ვსაუბრობ, ამის უფლება მაინც ხომ მაქვს, მე ხომ უკვე დიდი ხანია ყველა ქართული სიტყვა ერთად შევკრიბე, ერთ დიდ სკივრში მოწინებით ჩავაწყვე და შიგ გულში ღრმად მოვათავსე. იქიდან გამოსვლის საშუალებას უადგილოდ არ მივცემ, რომ შეურაცხყოფა და ფეხქვეშ გათელვა არ იწვნიოს, სათუთად გავუფრთხილდები.“

ბედად რუს ჯარისკაცს მობეზრდა ჩვენი წვალეა, ნელი ნაბი-

---

ჯვით წამოვიდა, რკინის მძიმე კარი გაგვიღო და შემოგვიბღვირა – არ გაბედოთ, არ იხმაუროთ, თორემ ახლა თუ გავცეცხლდი, თქვენს თავს დააბრალებო...

ხმის ამოღებას ვინ გაბედავდა და ჩვენც ენაგადაყლაპულებივით მივანოდეთ საბუთები.

საზღვარზე გადასვლა გვეღირსა. თითქოს ცოტათი გამომიკეთ-და გუნება, თითქოს კისერზე გამობმული თოკი ამხსნეს, თითქოს მხრებშიც გავიმართე, თვალი გავაპარე მდინარისკენ.

შე საცოდავო ენგურო, როგორ მისავათებულხარ, ნაცემსა და ნანამებს ჰგავხარ... სადაა შენი ზარიანი შხული?! შენს თავზე გად-მომდგარ უცხოებს თითქოს შენთვისაც ნაუჭერიათ ყელში თოკი, აქაოდა, იხმაურებ და იქვე მიგახრჩობთ. აქ, ამ არემარეში აბობო-ქრებისა და აღზევების უფლება მარტო ჩვენ გვაქვსო...

მიგიხვდი, ჩემო ენგურო, რა შიშითაც ხარ შეპყრობილი! მანა-მდე მეგონა, რომ მძულდი, საუკუნეების მანძილზე ძმადშეფიცული ქართველებისა და აფხაზების დაშორების მიზეზად გთვლიდი, ახლა კი ერთიორად მეცოდები, ჩემო ენგურო, ისტორიამ ერთობ მძიმე ტვირთის ზიდვა გარგუნა ბედად და უამრავი გალელის, გაგრელის, სოხუმელის, გუდაუთელის თუ ოჩამჩირელის საცოდაობის მოწმე გაგხადა, ალბათ ამიტომაც ხარ ახლა ასე მილეული...“ მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი“, – თითქოს შენზეც უთქ-ვამს პოეტს. შენ ხომ ყოველდღე უყურებ ჩვენს მძიმე, გაუსაძლის ყოფას. თუ როგორი დაბეჩავებულნი, წელში მოხრილნი, არაქათ-გამოცდილნი, უზომოდ მძიმე ტვირთაკიდებულნი მიდიან და მოდიან, მირბიან და მორბიან შენს თავზე გადებულ ტალახიან, ორმოებიან ხიდზე შიშისაგან გულგახეთქილი ქართველები, 7 საათი არ გახდეს, როგორმე საზღვარზე გადასვლა მოვასწროთო.

შენ ხომ თითოეული ჩვენგანის სატივივართ ხარ ასე მძიმედ ავად!

რალაც საშინელი ბოღმა ისევ მანვება გულზე ბურთივით, ვაგრ-ძელებ გზას და ჩავყურებ მდინარე ენგურს.. იმ ადგილზე კი, სადაც შედარებით უფრო ღრმაა წყალი, უამრავ თევზს ვამჩნევ და მშურს



მათი, რა თავისუფლად, ლაღად და ამაყად დაცურავენ ეს უმწეო და პატარა არსებები.. ამ ფიქრებში გართულმა შევამჩნიე, რომ ერთი პატარა, მოოქროსფერო თევზი მსწრაფლ ამოხტა წყლიდან, კამარა შეკრა, შეიფართხალა, ისევ ჩახტა წყალში და მიჰყვა ლაღად დინებას. დედა მაჩქარებს...

– ცირა, გადმოდგი ფეხი, დღეს თუ ვერ მოვასწარით უკან მობრუნება, ხვალ უკვე იმ შავბნელი ნაბაკევის თუ ფიჩორის გზებით, ტალახსა და წყალში, ხოხვით მოგვიხდება გადმოსვლა...

ჩვენ უკვე ზუგდილში ვართ. აქ თავისუფლების სიომ გამომაფხიზლა და სიცოცხლის ხალისი დამიბრუნა, ქართულად საუბარს არავის მიშლის, გულიდან დარდს ერთიანად ვიყრი, დიდი ხნის ოცნებას ვისრულებ, პირზე მომდგარ უამრავ ქართულ სიტყვას ერთბაშად ვუღებ კარს და აი, გადმოფრინდნენ ლამაზ-ლამაზი სიტყვები, ფრთახატულა ფრაზები. უბრალო რაღაცაზე ათას კითხვას ვუსვამ გამყიდველებს, იმდენს ვესაუბრები ქართულად, რომ გაცეზებულები შემყურებენ. თითქოს გული ვიჯერე, თითქოს ერთიანად ამოვაცირავე და დავცალე აფხაზეთიდან დიდი სასოებით წამოღებული ფერად-ფერადი ქართული სიტყვებით სავსე გუდა, თითქოს კიდევ ერთხელ მოვუხადე ხარკი მშობლიურ ენას, ვაგრძობინე, რომ მიუხედავად ამდენი ჭირ-ვარამისა, არც ერთი სიტყვა არ დამვიწყებია, კიდევ უფრო შემყვარებია, შემსისხლხორცებია, შემითვისებია მაგალობელი ფრინველივით მოლულუნე ენა ქართული. უკან თავდაჯერებული, დამშვიდებული ვბრუნდები. ადამიანივით, რომელმაც გამოცდა ფრიალზე ჩააბარა და თავისუფლად ამოისუნთქა. მივხვდი, რომ აკრძალულ ხილს უფრო ტკბილი გემო ჰქონია.

\* \* \*

რუხისკენ მიმავალ მიკროავტობუსში ახალი დიალოგი იმართება.

– მალე თუ წავალთ აქედან?

– ვაი, რომ 7-ზე საზღვარი იკეტება.

– არა ჯერ კიდევ დრო გვაქვს...

– მარტო აფხაზები რომ იდგნენ საზღვარზე, არ იყო ამდენი პრობლემა.

– ცოტა დაუჩქარე, მძღოლო, თორემ უკან მოგვიხდება დაბრუნება.

– ვაიმე, ვერ მოვბრუნდები, ავადმყოფი დავტოვე მარტო.

– მე კი ბავშვები -მეზობლის ამარა.

გაბრაზებული მძღოლის უკმაყოფილო შეპასუხება: „გადაიხადეთ თითო ლარით მეტი და წაგიყვანთ, აბა რა ვქნა, ცარიელი ხომ ვერ წავალ?“

მძღოლს სულ არ ადარდებს ჩვენი გასაჭირი, მოვასწრებთ თუ არა საზღვარზე გადასვლას, იგი იმას ითვლის, თუ რამდენი სვლა გააკეთა და რამდენი მოგება ნახა. როგორც იქნა შევეთანხმდით და მიკროავტობუსი დაიძრა. დგას ორთავალა და ელოდება მგზავრებს, აქაც წინასწარ ფულის აკრეფა, აქაოდა, შეიძლება მერე ვინმემ არ გადაიხადოს, ისე ჩამოხტესო. ღმერთო, შენ დამიფარე...ორთავალაზე ავედით. ცოტაზე მეტი ტვირთი მოგვიგროვდა, ხოლო წიგნი, რომელიც დიდი სასოებით ვიყიდე, ჩანთის კი არა, ტანსაცმლის ქვეშ დამალული, გულზე მისვენებული, დიდი მონინებით ჩამაქვს აფხაზეთში.

ენგურის ხიდზე ორთავალა ისე მიჯანჯლარებს, ვშიშობ გულმუცელი არ გამიერთიანოს.

საზღვარს მივადექით.

ერთი კი გავიხედე იმ ადგილისკენ, სადაც მდინარე ენგური ნელი ბუტბუტით ქვებზე ძლივს გადადის და ნაცემი ძალლივით მიიკლაკნება, გამაგრება და ძალების მოკრება ვუსურვე და გადავუჩურჩულე: „გამაგრდი, ენგურო, შენი კიდევები კვლავ გაივსება წყლით, კვლავ

დაგიბრუნდება სიცოცხლის ხალისი“.

გამშვებ პუნქტთან მდგარი აფხაზი დედის მიერ განვდილ საბუთს არ ამონმებს, თვალებით გვანიშნებს, იჩქარეთ, თორემ რუსი არ შეგიშვებთო. მივრბივართ, რალაც წუთები აკლია შვიდს. ვასწრებთ საზღვარზე გადასვლას და უკვე იქა ვართ, სადაც ჩემი მშობლიური სახლია, მშობლიური სკოლა, სადაც თავისუფლების მეტი ყველაფერია, სხვანაირად მოლივლივე ზღვა, სხვაგვარად მანათობელი მზე, სხვა დარი... ერთი სიტყვით, მიწიერი სამოთხეა.

ვფიქრობ და ვერ გამირკვევია, რა ჰქვია ასეთ ყოფას, როცა შენს ქვეყანაში დროის ათვლა ვილაც გადამთიელის „კაპრიზით“ინყება, როცა შენს მშობლიურ კუთხეში უცხოთავით ხარ, ფრთა ვერ გაგიშლია და რატომლაც იმ აფხაზი მესაზღვრის სახე მიდგება თვალწინ, რომელმაც გაგვაფრთხილა, იჩქარეთ, თორემ რუსი არ შეგიშვებთო. ძალიან მომინდა მისთვის მეთქვა, ჩვენ ერთად უნდა ვიჩქაროთ-მეთქი და კიდევ ერთხელ ჩავხედე ხიდის ქვეშ გართხმულ მშობლიურ ენგურს.

---

## სოჯალის მთა

ეკა ჭელიძე

ეს ამბავი დედამ მიაშობო. მე მას ვერ შევესწრებოდი, რადგან ოცი წლის ახლახან გავხდი. იდგა აპრილი 1993 წლისა...

ტყვარჩელში ცხელი ზაფხული არასოდეს იცოდა, ჰაერი სინოტივით იყო გაჯერებული და სუნთქვისას ფილტვები მარტო ჟანგბადით კი არა, საოცარი ენერგიით, სიცოცხლის წყურვილით გვესებოდა ხოლმე. მდინარე ლალიძგიდან მონაბერი ანცი სიო მოუსვენრად დაქროდა და მოსვენებას არ აძლევდა საუკუნოვან ხეებს. დილით გაღვიძებულს ჩვევად მქონდა, პირველად ჩემი სარკმლის წინ ჩამოშვებულ ტირიფის ტოტებს მივსალმებოდი და მერე ჭალარა, გულზვიად ხოჯალის მთას. საათობით შემეძლო მისთვის მეცქირა, თითქოს მის მზერას ვგრძნობდი, მისი სალამი მესმოდა – აფხაზური, დინჯი, მოზომილი. ქარში, თოვლში და წვიმაში იგი უდრეკი და ამაყი იყო. მთა იყო და ეს შეეძლო.

ჩვენ მეზობლად აფხაზების ოჯახი ცხოვრობდა. ოთხი ვაჟი ჰყავდათ, ნაბოლარა ჩემი ასაკისა იყო, განსაკუთრებული გარეგნობა ჰქონდა, ტალღოვანი თმა, რომელსაც სვანური ქუდის ქვეშ მალავდა, ცისფერი თვალები და სქელი წარბების ასეთი უჩვეულო შეხამება არასოდეს მენახა. ჯან-ლონით სავსე ბესლანი ასაკისთვის შეუფერებელი სიდინჯითა და შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა. რომ არა გრეგორიანული კალენდარი, იფიქრებდი თავად აფსრკილს დაუხსნია თავი კლდეებიდან საგმირო საქმების ჩასადენადო. უფროს ძმებს არ ჰგავდა, უთენია მიერეკებოდა თხებს მერვე შახტისკენ. ფერადოვან ხალიჩასავით გადაშლილ, ცვრიანი ბალახით მოქარგულ მდელოზე დააბინავებდა, მერე თეთრ ლოდზე ფეხმორთხმული, სფინქსივით გაქვავდებოდა და თვალებდაუხამხამებლად უმზერდა ხოლმე ხოჯალს, თითქოს მას ბაძავდა, მის ძალას უხმობდა, მისი საიდუმლოს ნაკითხვას ცდილობდა, საუკუნოვან ისტორიას რომ მოიცავდა და რუდუნებით მალავდა თავის ქვაბულებში, ხეობებსა

და ქარაფებში...

ბესლანმა სამუდამოდ დაიმკვიდრა ჩემს მეხსიერებაში, ღამის სიზმრებში და ამდენი წლის მერეც არ აპირებს წასვლას. სიმართლე გითხრათ, არც მე მინდა, რომ დამტოვოს, რადგან იმ წარსულში ვბრუნდები, რომელიც ძალიან მენატრება.

იდგა აპრილი 1993 წლისა...

ომმა შემოალაჯა ჩვენს მშვიდ ქალაქში, სადაც ქართველმაც და აფხაზმაც იცოდა, რომ სახლის შენების დროს ფანჯარა ერთმანეთისკენ უნდა გაეჭრათ. ერთხელ, გაგანია ომის დროს ბელსანის სახლს დაქირავებული ბოევიკები – კაზაკები მოადგნენ. სახლში დაბრუნებულ ბესლანს შემადრწუნებელი სურათი დახვდა – შეზარხოშე-ბულეშ ბოევიკებს ტანკით ღობე მოერღვიათ, ცხოველ-ფრინველი გაენყვიტათ, სურსათ-სანოვარე გაეზიდათ, ოჯახის სარჩო – საბადებელი ზენრებში გამოეკრათ და ისე წაეღოთ. ოჯახის უფროსი, რომელმაც წინააღმდეგობა გაენია, ტყვიით გაეგმირათ, შეურაცხყოფილი დიასახლისის გოდება არემარეს აყრუებდა. როცა, ავხორცი ბოევიკები ხორხოცით აყრუებდნენ იქაურობას. ბესლანის უფროსი ძმები დაესაჯათ და გაეკოჭათ, აქაოდა, ვერ დაგვიფასეთ ამაგო.

ბესლანს წამით მოეჩვენა, რომ ხოჯალმა გადმოხედა და უთხრა, „დროა“. სროლის ხმამ თითქოს გული შეუქანა, ფეხები დაება, მაგრამ ხოჯალს როცა გახედა, მიხვდა, რომ უკან დახევა არ შეიძლებოდა.

არც თხები გახსენებია, არც ქარისგან მომძვრალი სვანური ქუდი, არც წვეტიან ქვებზე სიარულით მიყენებული ტკივილი, „დროა“ – ეძახდა ხოჯალი... „დროა...“

და როცა კაზაკებითა და ნადარცვით სავსე ტანკმა ეზოს ღობეს ისევ გადაუარა და მტვრის კორიანტელი დააყენა, როცა ბესლანი უკვე ტანკის მოქცეულ კუდს ხედავდა, ეზოში ფეხი შედგა და ყველაფერი ერთბაშად დატრიალდა. ბესლანს სუნთქვა შეუკრა ნანახმა, თითქოს ვილაცამ მის სულს ხელი მოუჭირა და სიცოცხლის გამონურვას ცდილობდა. ბიჭი მოულოდნელად მობრუნდა და ტანკს გაეკიდა, გაუსწორდა, გაუსწრო და წინ გადაუდგა. კაზაკებმა მოულოდნელო-

---

ბისგან სვლა შეაჩერეს, შემდეგ ხელით ანიშნეს, გაიწიეს. ბესლანი ადგილიდან არ იძვროდა. კაზაკები საჩვენებელ თითს საფეთქლებზე იდებდნენ და ერთმანეთს ანიშნებდნენ, გიჟიანო. ბიჭი კი იდგა იდგა გოროზად, ამაყად, „დროაო“ თითქოს ჩაესმოდა ხოჯალის ხმა.

– „уиди с дороги, отморозок!“ „Стрелаи его нахрен“ – გადანყვეტილება მიიღო ერთ-ერთმა კაზაკმა.

ბესლანი ვერც ამან შეაშინა, ქვას დანვდა და ესროლა, მერე კიდევ ესროლა, კიდევ და კიდევ... საპასუხოდ სიცილი, შემდგომ გინება და გასროლის ხმა გაისმა. დაჭრილი ბესლანი კვლავ ფეხზე წამოდგა, მაგრამ თვალთ დაუბნელდა, წაბარბაცდა, მაგრამ ხოჯალის მთას შეხედა და მუშტმოღერებულმა, კრიჭაშეკრულმა თავი შეიკავა, რომ არ წაქცეულიყო. კიდევ ერთხელ გაისმა გასროლის ხმა და ტანკი ბესლანისკენ დაიძრა...

ამ ამბავს დიდხანს ყვებოდნენ ტყვარჩელში. იმასაც ამბობდნენ ხოჯალის მთას შავი ღრუბელი არ მოცილებია ძაძასავით, ვიდრე ბესლანი მიწას მიაბარეს.

მარად ახალგაზრდა ბესლანი კი ერთხელ დედის სიზმრიდან მეც მენვია სიზმრად, დიდი ცისფერი თვალეები და სქელი შავი წარბები ჰქონდა. მართლაც, რა უცნაური შეხამებაა. ჰო, სვანური ქუდიც ეხურა, გამიღიმა და ხოჯალის მთისკენ გასწია.

ეს ამბავი დედამ მიაგმო. მე მას ვერ შევესწრებოდი, რადგან ახლახან, აპრილში შემისრულდა ოცი წელი...

## მამა

### ქრისტიანე პახომოვა

– ბიჭი აქ დარჩება. თქვენ ორნი წახვალთ – დაზეპირებული სიმკაცრით ამბობს ავტომატიანი კაცი. დედაჩემი ჩემს ძმას კოცნის, მე ხელს მკიდებს და მივდევფართ. წითელი „ბათინკები“ მაცვია (ჩემს ბავშვობას იმ ბათინკების სუნი ასდის), ლურჯი კომბინიზონი და კიკინები მიკეთია. ვტრიალდები და ჩემს ძმას ენას ვუყყოფ. თითს მიქნევს და მილიმის. მე სამი წლის ვარ, ის ჩვიდმეტის. მერე მახსენდება, მთელი დილა კისერზე შემოსკუპებული მატარა. თითქოს სინდისი მქენჯნის და მეც ისე ვუღიმი, როგორც მას უყვარს. მთელი ძალით ვშლი პატარა პირს, თვალები რომ უფრო დამინვრილდეს და მარცხენა ლოყა ჩამეკუჭოს...

ხიდი ალაგ-ალაგ მოაჯირებმომტვრეულია. უხელებო კაცივით. ენგური არ ყვირის. მიუხედავად იმისა, რომ ადრიანი გაზაფხულია. გზადაგზა ავტომატიანი ბიჭები გვხვდებიან. ზოგი მიცინის. ზოგიც საერთოდ არ უყურებს არავის. ხიდის ბოლოსკენ ბეტონის გზა მთავრდება და რკინის ნაწილი იწყება. მიყვარს ეს ადგილი. რადგან ამომტვრეული ნაწილიდან ენგურს ბობოქარ ცხვირ-პირში ზემოდან ვუყურებ პირდაპირ. ცელქი ბავშვი ვარ, მზესაც თამამად ვუსწორებ მზერას და მერე ნახევარი დღე გონებააჭრელებული დავდივარ.

რკინის ხიდს იქეთ, რუსი ჯარისკაცები გვაჩერებენ და დედას საბუთებს თხოვენ. მერე კიდევ რაღაცებს ეკითხებიან. მე კი მარჯვენა მხარეს „მთის კიბეს“ ვუყურებ, მგონია რომ „ელდორადოში“ ამ კიბით გვერდიდან შეპარვავა შესაძლებელი. ჯარისკაცი გვშვებს და მეც ფეხების ბაკუნით და კიკინების ქნევით მივყვები ხელჩაკიდებულ დედას. როცა ამ გზაზე ვსუნთქავ, ასე მგონია ჰაერთან ერთად წყლის წვეთები მეპარებიან ცხვირში. ძალიან ლამაზია აქაურობა. დედისთვის საშიში. გზაზე რამდენი ფორმიანიც გვხვდება ყველა გვაჩერებს და საბუთებს ამოწმებს. მერე რაღაც მოედანზე გავდივართ. მარცხნივ საგუმბაგოებია, საგუმბაგოებს უკან ისეთი სინათლეა,

---

რომ სულ მგონია, სწორედ მათ უკანაა ზღვა. მარცხნივ მთა და ბევრი სამხედრო მანქანა. ჩვენ მოედნის შუაში დიდ ბეტონებთან ვდგებით და ველოდებით, როდის გამოჩნდება ბეტონებს იქეთ გზიდან ყვითელი ავტობუსი, რომელსაც ბუს თვალეპივით ორი დიდი ვინტილიატორი აზის ცხვირზე.

ბეტონის კედელთან ბევრი უცდის ყვითელი ავტობუსის სუნს და ხმაურს. გვერდით შავებში შემოსილი ქალი დგას. ის და დედა ლაპარაკს იწყებენ. მისი ქმარიც სოხუმში დარჩენილა მამაჩემივით და სახლს დარაჯობს. ერთადერთი, ცხრამეტი წლის ბიჭი კი ომში დაელუპა. დედა ეკითხება, ენატრება თუ არა აფხაზეთი. ის ამბობს, რომ არა. ამბობს, რომ როცა ლამაზ ქალს აუპატიურებენ, მას თავისი სხეული ზიზღდება. დიდხანს არიდებს თვალს. ცდილობს არ შეეხოს. და თუკი შეეხება გველივით ცივ და ამაზრზენ შეგრძნებებს ტოვებენ თითები კანზე. ცდილობს აღარ იყოს ლამაზი, რადგან სწორედ მისი სილამაზე იყო მიზეზი... ამბობს, რომ თვითონაც ასეა და ახლაც ცდილობს იშვიათად გაიხედოს „იქეთ“.

დედა ჩუმდება და თავს ხრის. ქალს ცრემლები მოსდის და მალევე იმშრალებს თავსაფრის კუთხით. მე მწყინდება და მოუსვენრობისგან წყურვილი მახრჩობს. კაბაზე ვექაჩები დედას, რომელიც შეწუხებულია ჩემი ანცობით.

– აღარ მაქვს, სულ დალიე. დაიცადე იქნებ მამაშენს ჰქონდეს.

მე ვბრაზდები და ზურგით ვეხეთქები ბეტონის კედელს. ჩვენთან ჯარისკაცი მოდის და დედას „ოღროჩოღრო“ (ასე ვეძახდი დამტვრეული ქართულით მოლაპარაკე ადამიანებს, რომლებიც ჩვენს სახლში ხშირად მოდიოდნენ) ქართულით ეკითხება ჩემი ახმაურების მიზეზს. დედას შიშით თვალები უფართოვდება, მიზეზს ეუბნება და ბოდის უხდის. ჯარისკაცი მიდის და დედაჩემი საყვედურნარევი და ცრემლიანი თვალეპივით მიხუტებს. ჯარისკაცი მალევე ბრუნდება და ბოთლით წყალი მოაქვს, დედა წუხდება და ეუბნება, რომ მოვითმენ. მე წყალს ვართმევ და ვცლი. მადლიერების ნიშნად კი ისე ვუტყინი, როგორც ჩემს ძმას. ჯარისკაცსაც ეცინება და ხელში აყვავარ. ჩემზე ლამაზი ღიმილი და სიცილი აქვს, ლოყებიც ორივე ჩემზე



მეტად ერუტება და თვალეები. თვალეები ალბათ ზღვას ჰგავს, ცას რომ უერთდება და მე რომ არ მინახავს...

– დედააა – ვყვირი განწირულ-სასონარკვეთილი ხმით. ასე ის გათამამებული ბავშვები ბლავიან, სასურველ სათამაშოს რომ არ ყიდულობენ – არ შეიძლება სახლში ნავიყვანოთ? ნავიყვანოთ რააა...

– ვთხოვ დედას და ჯარისკაცს თვალეებს არ ვაშორებ. ამდენი აღარ ესმის ეტყობა ჩემს ცისტვალას და სიცილით ითხოვს გადაუთარგმნონ რას ვამბობ. მერე უფრო გულიანად იცინის და მაღლა მისვრის.

– ასტამურ! ასტამურ სუკინ სინ! – საგუშაგოდან ვილაც გამოდის და ჩემს ცისტვალას ეძახის. ის სწრაფად მსვამს ძირს. აღარ იცინის. უბრალოდ მილიმის, ცხვირზე თითს მაჭერს, სწრაფად ტრიალდება და ჩქარი ნაბიჯით მიდის. მე ისევ გულმოსული ვეხეთქები კედელს ზურგით და დედას ვეკითხები:

– დედა, ამ ბიჭს ასტამურ-სუკინ სინ ჰქვია?

– არა. – მპასუხობს დედა – მხოლოდ ასტამური.

ჯერ ხმა და სუნი, მერე კი სილუეტიც ჩნდება ბუსთვალეებიანი ავტობუსის. მოშორებით ჩერდება და იქედან ბუზებივით ბუილით გადმოდიან მგზავრები. შუადღეა. ადრიანი გაზაფხულისთვის უჩვეულო სიცხით. მე თითის წვერებზე ვდგები და ვდილობ დავინახო მამა. ისიც მოდის. ჯერ დედას ეხუტება და მერე მე მიკრავს გულში. ოთხი წლის ვარ. წითელი „ბათინკები“ და ლურჯი კომბინიზონი მაცვია. კიკინები მაქვს, სიცილისას თვალეები მეჭუტება და ლოყები მეკეცება. ჩახუტებული ვარ და სულ არ მახსოვს ასტამური...

ოთხი წლის ვარ და მამა ძალიან მიყვარს.

2003 წელია. ათი წლის ვარ. სამი წელია მენატრება. სამი წელია ღამის 13 წამიან კადრებში ვნახულობ ხოლმე. ბოლოს ჩემი დისშვილის დაბადებისას ჩამოვიდა. ერთი წლის წინ წერილების გამოგზავნაც შეწყვიტა. მენატრება...

დღეს მისი დაბადების დღეა. წვიმს. დედა „კვირის პალიტრას“ კითხულობს. ჩვენს სახლში გამოცემის მთელი არქივია. ჩიკი ტელევიზორს უყურებს. სკოლიდან ახალი მოსული ვარ. ჩაის ვსვამ. ფან-

---

ჯარაში ვიყურები. ამ ფანჯარას ვერ ვიტან. ერთხელ დედამჩემმა ძაღლს შემთხვევით ცხელი წყალი გადაასხა და ღამ-ღამობით მისი წკუმუტუნი მესმის. ეზოდან გავარდა და ბიძაჩემის სახლში გაიქცა. ტუზიკა ორი ოჯახის ძაღლია. მიყვარს როცა ჩუმად მომყვება გზაზე... მიყვარს როცა ხტება წყალში და მე ვუყურებ როგორ ცურავს... გაფანტული ვმოძრაობ ქუჩაში. უფრო სწორედ, დინჯად ვმოძრაობ და სხვა სამყარო დამაქვს. სიუჟეტებში ვცხოვრობ. გამოვიგონებ რაიმე სამყაროს და დღეების, კვირის ან თვის განმავლობაში ვცხოვრობ იქ. ერთი სული მაქვს, მარტო დავრჩე, რომ ჩემს არარეალურ და ჩემთვის გაცილებით რეალურ, კომფორტულ სიუჟეტში „გადავცხოვრდე“...

წვიმს. 24 თებერვალია. მენატრება.

– რა გატირებს გოგო? – მეკითხება ჩემი ძმა. მე ვერც ვხვდები და თურმე ვტირი. დედა გაზეთს თავს ანებებს. სათვალეებს იხსნის და კითხვას იმეორებს. უკვე ხმამაღლა ტირილზე გადავდივარ. ორივე დგება და ფერებას მინყებს. დედა კალთაში მისვამს. მე ვიკეცები ემბრიონივით და სახის დასიებამდე ვბლავი. მიზეზს ჯიუტად ვმაღავ.

ათი წლის ვარ და უკანასკნელად ვტირი მამის გამო.

ზუსტად შვიდი წლის მერე მარიამი იბადება და 24 თებერვალი ჩემთვის მთლიანად იცვლის ფერს. სახლის ყველა კარი ღიაა. ხვალ ხატვის გაკვეთილი მაქვს. ძალიან არ მიყვარს ხატვის გაკვეთილი. ვერ ვიტან კურპუსკუალურ სიზუსტეს. ჩემთვის აბსტრაქციული „ხაზვა“ უფრო ნახატია, ვიდრე სწორი მოხაზულობის ნატურ-მორტები, პეიზაჟები... 13 წლის ასაკშიც მგონია, რომ შემოქმედება ისაა, რასაც შექმნის პროცესით სიმშვიდე მოაქვს და არა ის, რაც აუცილებლად უნდა მოაწონო სხვას. უფროსი ასაკის ადამიანებთან ვმეგობრობ ან საერთოდ მარტო ვარ. 13 წლის ასაკშიც სიუჟეტებში ვცხოვრობ. არც ერთი სიუჟეტი არაა ვარდისფერი და „იოლი“. ბევრს ვფიქრობ მომავალზე და ბევრ მწვერვალზე.

ხვალისთვის გაზაფხულის პეიზაჟი მაქვს დასახატი. ვეძებ სათლელს. ვერ ვპოულობ. ალბათ დავკარგე. ფანქრებს, სათლელებს

და კალამს ყოველდღე ვკარგავ. კალამს – იშვიათად. უფრო მგონია, რომ დავკარგე, სინამდვილეში კიკინაში მაქვს „გარჭობილი“ და ჩემი კლასელი ბიჭები მაჯავრებენ, არ მეუბნებიან, ჩემთან ერთად ეძებენ კალამს მერხებქვეშ.

გავდივარ ჩემი ძმის ოთახში და სამართებელს ვიღებ. სახლში ჩემი არც თუ ისე ახლო მეზობლის ბიჭი შემოდის. ვეუბნები რომ ჩემი ძმა სახლში არაა. ის მაგიდასთან ჯდება და ჩემს რვეულებს ათვალიერებს. მე ფანქრების თლას ვიწყებ და თვალს არ ვაშორებ სტუმარს. ქუჩაშიც კი ვერ ვიტან მის დანახვას. მეუბნება, რომ ვაკოცო. ისე როგორც სერიალებში კოცნიან ერთმანეთს. მე თვალები მიშტერდება. მერე ძალიან აუღელვებლად ვეუბნები, რომ სამართებელს ჩამოვუსვამ სახეზე და როცა ჰკითხავენ რა დაემართა, საინტერესო იქნება რას უპასუხებს. ის დგება და გადის. მე ხელები მიკანკალდება. მაკვირვებს ჩემი სითამამე და ვიწყებ ფიქრს, როგორ მომივიდა აზრად ამის თქმა?! არა, კარგია რომ მომივიდა... კიდევ ის გამიკვირდა, რატომ სჯერა, რომ არაფერს ვიტყვი. მე მხოლოდ მამა არ მყავს, „თავს მოაჭამენ“, მე 13-ის ვარ და ის 30-ის. სხვა არაფერი გამკვირვებია, ისედაც ვგრძნობდი. გზაზე, როცა სკოლიდან ვბრუნდებით, ყოველთვის უცნაურად გვიცინის და გველაპარაკება. მაგრამ ჩემს მეგობარს ალბათ მსგავსს არაფერს გაუბედავს. რადგან მამა ჰყავს.

დედას „წითელი ჯვრის“ წერილი მოსდის. არ ვიმჩნევ, მაგრამ გული გახეთქვამდე მიცემს. გამოდის მამას წერილების გზავნის უფლება ისევ მისცეს და იქნებ ჩამოვიდეს კიდევ. თან რევოლუციის მერე გამძაფრებული აქვთ ჩემებს „დაბრუნების“ იმედი. მე ზუსტად ვიცი, რომ არსად წამსვლელი არ ვარ. აქ დავრჩები. ჩემი სამშობლო ესაა. პირიქით, მეზიზღება იქაურობა, სადაც ჩემი გაყოფილი ოჯახის მეორე ნახევარია. სახლი, რომელსაც მამაჩემი დედაბოძად შეუდგა. სინამდვილეში კი...

– თალიკოს წერილია – მეუბნება დედა. თვალები დაწითლებული აქვს. რამდენიმე დღეში წერილს ვიპარავ. გაურკვეველი რუსული ტექსტია. რამდენიმე თვეში უკეთ ვსწავლობ რუსულს და ტექსტის

---

ნაწილს ვკითხულობ. მამაჩემი სახლში არ ცხოვრობს. არც ბინაში. სხვებს დაუთმო. არც ახალი ოჯახი ჰყავს. გალოთდა. მერე აფხაზმა მეგობარმა ჩამოაკითხა, თავისთან წაიყვანა და დალევას „გადააჩვია“.

ვცდილობ იშვიათად ვთქვა ჩემი გვარი და მეზიზღება ყველა, ვისაც ოდნავ სასმელის სუნი ასდის. წლები მიჯრით მიდიან. აფხაზეთი აღარ მეზიზღება. დაკარგული მიწა გაცილებით დიდი ტკივილია, ვიდრე ჩემი პირადი, მის გამო ორად გახლეჩილი ოჯახი. ვიდრე გაუპატიურებული ქალის ტკივილი.

ენგურის ხიდივით მოაჯირებმომტვრეული ქვეყნის ტკივილით მტკივა.

გაგარინის მოედანზე, „LAS VEGAS-თან“ მეგრულის მსგავსი კილოთი ემშვიდობებიან ქალები ერთმანეთს. სევდიანი ღიმილით ერთი ეუბნება მეორეს, აწი ოჩამჩირეში შევხვდებით ოჩამჩირეში, ჰა, ჰა და პირზე ხელს იფარებს.

აფხაზეთი ეს ტკივილია. იქაურ ქალებს მაშინვე იცნობ, დღემდე მოვარდისფრო იასამნისფერი ტუჩსაცხები უსვიათ. სხვანაირად პრანჭიები არიან, თმებში შავი ზღვის მარილი აქვთ შერჩენილი და სიცილისას ცდილობენ პირი მოკუმული ჰქონდეთ და რაც შეიძლება კეკლუცად იცინონ. იქედან ჩამოყოლილი ან მსგავსი ტანსაცმელი აცვიათ.

მათი ყურებისას სულ გაკოტრებული არისტოკრატია მახსენდება.

ჩემს დას ყოველ ღამე ესიზმრება სახლი, სანაპირო... მისთვის სოხუმი წართმეული სახლია, ჩემთვის - მხოლოდ დაკარგული ქალაქი. ბაბუა სამსახურის გამო რუსეთიდან ოჯახით გამოუშვეს აფხაზეთში. ისე შეუყვარდათ იქაურობა, დარჩნენ. დედა მამამ ზაფხულის არდადეგებზე გაიცნო. 21 წელი იცხოვრეს ერთად. ქორწინებიდან სოხუმის დაცემამდე.

მამა აფხაზ მეგობართან ცხოვრობს. რომელმაც ლოთობისგან და სიკვდილისგან იხსნა.

მამა აფხაზ მეგობართან ცხოვრობს.

21 წლის ასაკში ვფიქრობ, ყველაფერს აქვს ორი მხარე. იქნებ ის ერთადერთი მიზეზია, რაც გონებით, გულით, მუცლის, ზურგის ტვინის შეგრძნებებით მაკავშირებს „გალმა ნაპირთან“, იქნებ მამაჩემი გამოწვდილი ხელია?!

---

## საზღვარი

### ნათიკო ოყუჯავა

ერთი დღე, რომელიც თითქმის ყოველდღიურობაა ჩვენი ცხოვრებისა ენგურსგალმა საქართველოში. ჩვეულებისამებრ ირიჟრაჟა... მზემ ეს-ესაა თავი ამოყო და იზმორება. როგორც იტყვინ არეული ამინდია, ჩანს, წვიმას აპირებს. დედამ გამაღვიძა, მეზარება თბილ ლოგინთან განშორება. ცივმა ქარმა და მეგობრის ზარმა საბოლოოდ გამომაფხიზლა, „არ წავიდეთ?“ – ჩამესმის მისი ხმა. წავიდეთ, – არ ვაყოვნებ მეც. დედამ გზა მშვიდობისა მისურვა და გარეთ გავედი...

სიცვიისგან ხმას ველარ ვიღებთ, ქარს მივაპობთ და ნისლში ვიკარგებით... 5-6 კილომეტრი უნდა გავიაროთ, რომ „საზღვარი“ გადავლახოთ, უფრო სწორად გადავიპაროთ და რუსების სამხედრო, „ბაზას“ თავაუწველად გავშორდეთ...

ფეხი გამეყინა. ვიცი, მასაც სცივა... თითქოს ქარიც ჩვენ წინააღმდეგ ამხედრებულა, მდუმარედ ვიკვლევთ გზას. უკვე მეორე რუსულმა „ურალმა“ ჩაგვიარა. ორივე სავსე იყო დაჭერილებით, რომლებმაც „საზღვარზე“ გადაპარვა ვერ მოასწრეს, მათ შორის თოთო ბავშვიც შევნიშნე...

“საზღვარს“ მივუახლოვდით, სულიერის ხმა არ ისმოდა, მარტო ენგური არღვევდა ირგვლივ სიჩუმეს.

– გავრისკოთ? – ვკითხე მეგობარს და დამაჯერებლობისათვის თვალებში ჩავხედე.

– რომ დაგვიჭირონ?

– ნუ გეშინია, წამოსვლის წინ დედამ დამლოცა... უკან დასახევად უკვე გვიანია...

დალოცვის მაღლი ჭრის, მეთანხმება. თანაც არავინ ჩანს და დარწმუნებული ვართ, რომ გავვიმართლა.

ფეხზე გავიხადეთ, სიცვიისგან ლამის ავტირდით, ეს წამება იყო, მაგრამ მიზანი გვამხნევენს და მივაპობთ ენგურს. სულ ცოტაც და სამშვიდობოს ვართ, მაგრამ... რალაც ხმაურია, ერთმანეთს შევხე-

დეთ, დავიბენით, არ ვიცოდით რა გაგვეკეთებინა, ხმა თანდათან მკვეთრი და გასაგები გახდა – „სტოიტე!“ – ჟრუანტელმა დაგვიარა, არ ვიცი, სიცივისგან თუ შიშისაგან, ვიგრძენი, რომ გონს ვკარგავდი...

ის დღე ფეხშიშველებს, ღია ცის ქვეშ მოგვინია დარჩენა. თავი ბოროტი დამნაშავე მეგონა, ოთხი შეიარაღებული რუსი ჯარისკაცი გვდარაჯობდა და განძრევის უფლებასაც არ გვაძლევდნენ...

ქარი ავად სისინებდა, ცას წვიმის წვეთიც მონყდა, სიცივისგან და შეურაცხყოფისაგან გათანაგულებს ლურსმანივით გვსერავდა თითოეული წვეთი. არ ვიცი გვითანაგრძნობდა, თუ პირიქით...

აღბათ, დედა ნერვიულობს, ამდენი ხანი რომ არ დავურეკე...

მცივა. მიხდა ჩემი მეგობარი გავამხნევეო, მაგრამ არ გამომდის... მასაც სიცივისგან სახე გალურჯებია.

გალში ვართ, ბაზაში შეგვიყვანეს. ყოველთვის მაინტერესებდა აქაურობა. მგონი, ეს ოთახი მიწისქვეშაა, ფანჯრებიც კი არ აქვს და უფრო კარცერს მიაგავს. კუთხეში ერთი გრძელი სკამი დგას. ფორმიანებმა ჩვენი ვინაობა ჩაინერეს...

დილის ოთხი საათია. ოთახის თუ საკნის კარებთან ფორმიანი პირი მოდის და თავით გვანიშნებს, რომ გარეთ გამოვიდეთ. შემდგომ რალაც ქალაღებზე მოგვანერინეს ხელი და თავისუფლება გვიბოძეს.

სალამოს ექვსი საათი შესრულდა თუ არა, ბრძანებაც მიიღეს, „კამაზში“ ჩავსვენეს და იმ გზას გავუყევით, რომელიც ამ დილით სიმწრით, მაგრამ იმედით გამოვიარეთ. ახლა მხოლოდ დედაზე ვფიქრობდი და აი, ჩემი სახლიც...

მზეს ძინავს. მთვარესაც ღრუბელი შემოუხვევია საბნად. ისევ ცივი ქარი შემეხო... ამჯერად შიმშილისგან ღონემიხდილს აღარ შემეძლო გამოფხიზლება... ძილ-ბურანში მაინც ვფიქრობ, სახლში მივალ, გავთბები და კვლავ ვცდი ბედს. დედამ თურმე ძალიან ინერვიულა, მაგრამ ვიცი, რომ მაინც დამლოცავს...

---

## რიბითის დღიურიდან

### შოი ყანდორელაშვილი

მოთმინება ყველას ამოგვეწურა. უკვე ბინდდებოდა. არა მეტის მოცდა აღარ შეიძლებოდა. ეს მაიორმაც შეგვატყო სახეზე და მოიერიშე ათეულს პოზიციები დაგვაკავებინა. ისეთი წყნარი და ლამაზი საღამო იყო, რომ ალბათ ნებისმიერ ადამიანს დაამშვიდებდა და სასიყვარულო ფანტაზიებს გაუფურჩქნიდა გულში. თუ არ ვცდები სოფელ ქვეშის მისადგომობთან ვიყავით გამაგრებულნი. აქედან რუსების გათხრილი სანგრები ხელისგულივით მოჩანდა, სავარაუდოდ იქ ათეული იმყოფებოდა. თუ დაზვერვის ინფორმაცია მცდარი აღმოჩნდებოდა, უეჭველი იყო, მთელ ქვედანაყოფს სიკვდილი გველოდა. ტყვიამფრქვევი მოვიმარჯვე, გადავტენე, მხარზე მაგრად მივიბჯინე და ბრძანებას დაველოდე.

– ცეცხლიი!!! – იღრიალა ხრინნიანი ხმით მაიორმა და ჩვენც ნიშანი მოგვცა.

იარაღები ერთიანად ახმაურდა და მიწიდან ასხლეტილი ტყვიები ზუზუნით გაფრინდა შორეული ჰორიზონტისაკენ. მაიორმა ათეულს ცეცხლი ხელმარცხნივ გადაატანინა და ჩვენი ჯერიც დადგა. ერთად წამოვიშალეთ და გადავლა დავიწყეთ. მიუხედავად იმისა, რომ სანგრებში არავინ ჩანდა, ჩვენ მაინც ვისროდით და პერიოდულად ხელყუმბარებსაც ვაყოლებდით. ეს ყველაფერი ისე მარტივად, უგრძობლად და უემოციოდ ხდებოდა, მეგონა საბავშვო კომპიუტერულ თამაშს ვთამაშობდი. სანგრებთან მიახლოვებისას მოწინააღმდეგის ფორმიანი, შეიარაღებული და გრძელწვერიანი რამდენიმე ჯარისკაცი პოზიციებიდან ამოხტა და იქვე ძველი სახლის ნანგრევებისაკენ გაიქცა. ისინი მაშინვე იმსხვერპლა ტყვიების წვიმამ. სანგრები ერთიმეორის მიყოლებით იწმინდებოდა, ჩვენგან სამი კაცი დაიღუპა. დიახ... ჩემი თვალით დავინახე, თუ როგორ დაეცა მათი დაცხრილული, უსიცოცხლო სხეულები. ვუყურებდი და ისე აღვიქვამდი თითქოს ეს უკვე დიდი ხნის უკან დანერილი სცენარი იყო, რომლის შეცვლაც არავის



არ შეეძლო. სანგრები დავიკავეთ, მე ბოლოში მომიწია ჩასვლა. თავიდან ვერც კი შევამჩნიე, მოკუნტული იჯდა, თავი ხელებში ჩაერგო და შიშისაგან ცახცახებდა. ინსტიქტურად მცველი გავხსენი და სასხლეტი დაფუშვი. ის წამი საუკუნედ იქცა... მე მთელი სხეულით ვიგრძენი, თუ როგორ დაეჯახა ნემსა კაფსულას, მაგრამ გასროლა არ მოხდა. გაჩხაკუნების ხმის გაგონებისას, მან ხელები გაასავსავა, განწირული სახით ამოხედა და აქვითინდა. ჯერ ისევ პირტიტველი ბიჭი იყო, ჩემზე ასე... ორი-სამი წლით უმცროსი. თეთრი ფერმკრთალი სახე და ნაღველით დანისლული თვალები ჰქონდა, იერით კი აშკარად ეტყობოდა, რომ ჩრდილო-კავკასიელი უნდა ყოფილიყო.

– прошу не стреляй в меня... – მითხრა ტიპიური ჩეჩნური აქცენტით. – я... я... силой отступили... я... жертво грязный игры, у меня не било другого выхода...они угрожали мне смертью...прошу не стреляйте... умяляю...

მივხვდი, რომ ისიც თავისი თანამებრძოლებივით ერთ-ერთი მარინოეტი იყო და რატომღაც მაშინ გამოვერკვიე სიტუაციიდან, მაშინ ვიგრძენი და გავაცნობიერე, რომ ისიც, მისი ქვეყნის იმპერიული ინტერესების გამო იყო გამოგდებული ფრონტის წინა ხაზზე, მაშინ გავაცნობიერე, რომ ეს ერთი უწყინარი კომპიუტერული თამაში კი არა, ომი იყო. ყველაზე ბოროტი თამაში, სადაც ჰუმანიზმი თვლემს ხოლმე და ადამიანი მხეცს ემსგავსება. მისი სიტყვები ჩვენებს არ გაუგიათ, რადგან ჯერ ისევ საკონტროლო გასროლებს ახორციელებდნენ. მაგრამ როგორც კი სროლის ხმა მიწყდა, მაიორმა მდგომარეობის მოხსენება გვიბრძანა. ყველა სანგარი სუფთა იყო. ბოლოს ჩემამდეც მოაწვდინა ხმა, თავის არიდების მიზნით მოხსენება დაფუგვიანე.

– ლალიშვილი, მოხსენებას ველოდები!..

– ბატონო მაიორო... მეშვიდე სანგარი სუფთაა! მონინალმდევე განადგურებულია. – ენის ბორძიკით ფუპასუხე მე.

არ ვიცი იმ ბიჭს ქართული ესმოდა, თუ ჩემი ნათქვამის ინტონაციით მიხვდა, უცებ სახე გაუნათდა, ზემოთ ამოიწია და მადლიერებით სავსე თვალები მომაპყრო. იყო გადამწყვეტი ერთი წამი, როდესაც ვერაფერი გავიგე, მხოლოდ მისი ტყვიისაგან მოჩვარულ

---

სხეულს მოვკარი თვალი და დავინახე, როგორ ჩავარდა ისევ სანგარში, გასროლის გამაყრუებელი ხმა შემდეგ გავიგონე, აშკარა იყო ძალიან შორიდან ძლიერი სნაიპერული შაშხანიდან იყო ნასროლი. შიშისაგან მეც ჩავნექი სანგარში, მასთან მივხვდი... გატანჯული და განანამები ღიმი მორეოდა, ვხედავდი, თუ როგორ ჟონავდა მისი ჭუჭყისაგან გაპოხილი სამხედრო ფორმიდან თბილი სისხლი და მიწოდოდა დამეჯერებინდა, რომ ეს საშინელი სიზმარი იყო. მან თითქოს ბოლო ძალები მოიკრიბა ღრმად ჩაისუნთქა და სიკვდილს შეგუებულ სახით ლექსის კითხვა დაიწყო:

„Красная кровь на бежевом,  
Тёмная на голубом...  
Алая на белоснежном  
Цвет этот всем знаком  
Мчится потоком бещеным,  
Время сшибая с ног  
